1914

М. Н. НИКОЛАДЗЕ

კლდე

№ 24

15 თიბათვე 1914 წ.

მიიღება ხელის მოწერა

წლიური ფასი

= 3 მან. =

ცალკე ნომერი 5 კაპ.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონო-მიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 9 – 3 საათ.

წელიწადი მესამე

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპეშისა: თბილისი კლდე.

ს ა რ ჩ ე ვ ი: 1. განწირული. – ირ. სონღულაშვილისა. 2. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებაზედ.— რ. გ—ესი. 3. სოციალისტები და ხიზანთა საკითხი.— ***-სა. 4. უკანასკნელი ამბები. 5. პ რ ე ს ა. 6. წალკის ბერძნების გადასახლება.— Legatus-ისა. 7. ცხინვალის სკოლის გამო. რ. ერედველისა. 8. „გიორგი სააკაძე და მისი დრო“.— რ. გაბაშვილისა.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წ.

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ „კლდე“-ზედ.

ფ ა ს ი:	1 წლით.	3 მან.
	6 თვით	2 მან.
	3 თვით	1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

განწირული

(ა. ი სარაჯიშვილის ხსოვნას)

მუხთალ ბედს მშვენიერი ასული შორს უდაბნოში გადაეგდო. ადამიანი არსადა სჩანდა. მიდამოს ცხარე მზე თავს დასტრიალებდა და გახურებულ სხივებს ესროდა. არემარე მხეცთა სამეფოს წარმოადგენდა; ქვემძრომთ ფუთფუთი გაჰქონდათ. გულდათუთქული ასული ნაღვლიანად გამოიცქირებოდა. გიშრის ნაწნავები ბროლ მკერდზე გადმოჰყროდა. საფრთხეს ელოდა, მხსნელი არა ჰყავდა; ღვთისა და თავის ანაბარა იყო მიტოვებული. ხელთ მრავალსიმიანი საკრავი ეპყრა. ქალმა დახედა საკრავსა, ერთად-ერთს თავის დაცვის იარაღსა, და ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა.

— რაღა უნდა ვქნა!—გაიფიქრა.— რა წყალში ჩავარდე! ჩემ საკრავს თანდათან სიმები აწყდება, ხმა უსუსტდება და მხეცთა და ქვემძრომთ ხროვა მიახლოვდება. აი რამდენიმე სიმი-ღა შერჩენია, ესენიც რომ დააწყდეს, მთლად დავიღუპები.

მხეცთა ხროვამ ყმუილი ასტეხა, ქვემძრომნი ასისინდნენ და მსხვერპლს მიაშურეს. ასული გამოერკვა, ჩამოჰკრა უკანასკნელ სიმებს ხელი და საკრავი ააჟღერა. ხმებმა ნაკადივით იწყეს დენა. ერთი მეორეს მისდევდა, ეწეოდა, უერთდებოდა და ტკბილ ჰანგებად იფანტებოდა. მხეცნი შეჩერდნენ, უნებურად უკან დაიხიეს, ქვემძრომნიც შეჩერდნენ, გაინაბნენ. ტკბილმა ხმებმა მოაჯადოვა ყველანი. ასული გამხნევდა და უფრო გაბედულად ააჟღერა საკრავი. შავი დიდრონი თვალები გაუბრწყინდა. გატაცებულმა თავი მაღლა ასწია, გადიქნია, თმები უკან გადიყარა და ბროლის მკერდი გამოიჩინა. სიმების ხმებს ასულის ნაზი, ნარ-ნარი სიმღერა შეუერთდა და არემარემაც ბანი მისცა. ასული იგონებდა წარსულს, დაკარგულს ბედნიერებას, იგონებდა მისთვის განწირულ მებრძოლ გმირებს, საიმედო დარაჯებს. აწმყო სრულიად გადაავიწყდა..

უცბად რაღამაც დაიჯღრიალა და გულგასაგმირი კვნესა გაისმა. ასული შეკრთა. წარსული გაჰქრა და სინამდვილემ თავი აგრძნობინა. ასულმა დახედა საკრავს და მდუღარება გადმოაბნია...

— კიდევ ერთი! კიდევ ერთი სიმი გაუწყდა ჩემ საკრავსა!—წაილუღლუღა ელდა ნაკრავმა.

ირ. სონღულაშვილი.

ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის კრებაზედ

ქ.-კ. თ.-აზნაურობის წრევანდელ კრებაზე აღძრული იყო რამდენიმე ფრიად საყურადღებო საკითხი, რომელთა გადაწყვეტას და განხორციელებას ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები უნდა მოჰყვეს, თუ წინა წლებში და წრეულ არჩეულნი პირნი მუყაითად მოეკიდებიან ნაკისრ მოვალეობას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს „კახეთის რკინის გზის“ საკითხი, რომელზედაც ვრცელი მოხსენება წაიკითხა დეპუტატთა საკრებულომ. კრებამ მიანდო ამ დიდი საქმის გაძღოლა დეპუტატთა საკრებულოს და ხუთს ამორჩეულს პირს, რომელთაც მიეცათ სათათბირო ხმა. ეს უკანასკნელი ზომა მით უფრო საჭირო იყო გარკვეულად ყოფილიყო აღნიშნული, რომ კრების უმრავლესობამ ჯერ გადასწყვიტა მიცემა არჩეულ კომისიისათვის გადამჭრელი ხმის უფლებისა, რითაც სრულიად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდებდა დეპუტატთა საკრებულოს, როგორც ოფიციალურ ორგანოს და წარმომადგენელს თავად-აზნაურობისას. ეს ზომა უფრო გონიერი გამოდგა იმ შემთხვევის წყალობითაც, რომ კომისიაში ამორჩეულნი აღმოჩნდნენ თითქმის მთლად (გარდა ერთისა) სწორედ ისეთი პირები, რომელნიც თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ კახეთის რკინის გზის გადასვლისა თავად-აზნაურობის ხელში (ა. ყანჩელი, ი. ბარათაშვილი, პ. გედევანიშვილი და რ. ყაზბეგი.)

დეპუტატთა საკრებულო, იმედი უნდა ვიქონიოთ, გამოსძებნის ყოველ სახსარს, მატერიალურს და პიროვნულს, პერსონალურს, რომ ეს დიდი სამეურნეო საქმე, რომელსაც დიდი მომავალი აქვს—ღირსეულად ჩაიბაროს და აწარმოვოს კიდეც. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რკინის გზა არა ჩვეულებრივი მეურნეობაა ჩვენთვის, მეტად ცოცხალი საქმეა და იგი მოითხოვს თავიდანვე ჩვენს

გონებრივს და მოსაქმე ძალთა მობილიზაციას. არ იქნება გადავაქციოთ იგი ჩვეულებრივ ქართულ საქმედ, რომელიც, ერთხელ ჩამდგარი კალაპოტში, მოძრაობს ინერციის წყალობით და არა ცოცხალ მოქმედებით. მას დასჭირდება მრავალი შემოქმედებითი ძალა, რომელთა შემოკრება-შექმნაზედ დეპუტატთა საკრებულომ ამთავითვე უნდა იზრუნოს, რომ გზის ჩაბარების დროს არ დახვდეს სრულიად მოუმზადებელი და იძულებული არ იყვეს მუშაკთა შემადგენლობით წაახდინოს საქმე. ნამეტნავად **აქ** უნდა აუხვიოთ გზა შენ-ჩემიანობა ნათესაობას და ღირსებით შევაფასოთ, გამოკვლეული ღირსებით, ყველა დიდი და პატარა მომუშავე. თუ მარტივ გამგეობის გზას დავადექით, ჩვენის აზრით, საჭირო იქნება მმართველობაში მოვიწვიოთ გამოცდილი პირები, რისათვისაც არ უნდა მოვერიდნეთ დიდი ფასის გაღებასაც, რაც აგვინაზღაურდება სარკინისგზო მეურნეობის კარგად დაყენებით.

იმედივ იქონიოთ, რომ ისეთის დავიდარაბით შეძენილ უფლებას რკინის გზის პატრონობისას და იმდენი მატერიალური მსხვერპლის შემდგომ — დეპუტატთა საკრებულო არ გალახავს მას მეურნეობის სიროთულეთი და ისე გამოიყენებს, როგორც დახარჯულ ძალას შეეფერება.

უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ რკინის გზის მეურნეობა, რომელშიაც კერძოდ დაინტერესებულია თავად-აზნაურობა, გადახლართულია ათასგვარ საზოგადო ეკონომიურ-კულტურულ საკითხთან, რომელზედაც საზრიანი გავლენა უნდა იქონიოს.

—

მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო — პროექტი საადგილ-მამულო კომისიისა. მკითხველს ეცოდინება, რომ უკანასკნელს 3 წელიწადს საადგილ-მამულო კომისია იძულებული იყო თითქმის უმოქმედოთ ყოფილიყო, იმ პარტიული ბრძოლის ზეგავლენით, რომელიც თავად-აზნაურობის კრებებზედ იწვევდა არა პრინციპიალურს უკუგდებას კომისიისას, არამედ პირადი ანგარიშების გასასწორებელ ასპარეზადა ხდიდა.

საადგილ-მამულო კომისიის დამცველნი ტყუილადა სცდილობდნენ დაერწმუნებინათ მოწინააღმდეგენი, რომ ეხლანდელ დროს, როცა მიწა ათას დესეტინობით იყიდება და მყიდველი კლიენტურა კი ადგილობრივ მკვიდრთ არ ეკუთვნის; როცა ჩვენი გლეხობა კულტურულ მეურნეობისათვის სრულიად მზად არ არის; როცა ათასი საადგილ-მამულო საკითხი მოუწესრიგებელი და გადაუჭრელი რჩება მარტო იმის გამო, რომ გამძღოლი არავინა ჰყავს, არა გვაქვს ორგანიზაცია, რომელმაც იტვირთოს ყველა ეს საქმე, — ტყუილად იწუხებდნენ თავს ბრძოლით, რომ აუცილებლად საჭიროა ისეთი მკაფიოდ ჩამოყალიბებული ორგანო, რომელიც ყოველ წუთს მზად იქნება მოაწესრიგოს საქმე და საკითხი მიწის მცირედი ნაჭრებისა მაინც.

ამისათვის საჭირო თანხაცა აქვს თავად-აზნაურობას, საგანგებოდ გადადებული, რომელიც აქამდის უსარგებლოდ იხარჯებოდა საქველმოქმედო საქმეებზედ, თუმცა დანიშნულება და სახელი „სამეურნეო“ ჰქონდა და ხასიათიც იმ გვარი, რომ იგი უნდა უბრუნდებოდეს თავად-აზნაურობას და ძირითად თანხას ეკეცებოდეს.

მოწინააღმდეგეთა ლაშქარი ცოტ-ცოტა დნებოდა სამი წლის განმავლობაში და წრეულს, როცა პარტიული ჟინი დამცხრალია, როცა თვით მარშალმა აღნუსხა ის მრავალმხრივი მოვალეობა და საქმე, რომელიც ყოველ წლივ ურთულდება დეპუტატთა საკრებულოს, აღნუსხა ის თანხები თავად-აზნაურობისა, რომელთაც შესაფერი პატრონობა და მოხმარება სჭირიათ, — კრებამ, ზოგიერთი სამუდამოდ დაბნელებულ პირთა გარეშე — ერთხმად მიიღო პროექტი, რომლის განსახორციელებლად ამორჩეულიც იყო ბოლოს, უკვე პროექტის მიხედვით — ხუთი პირი.

ბრძოლა საადგილ-მამულო კომისიის არსებობისათვის დასრულებულად უნდა ჩაითვალოს და დღეის იქით თვით კომისიაზედ იქნება დამოკიდებული მისი ნაყოფიერი მოქმედება. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ახალი ძალები, რომელთაც შეავსეს კომისია და რომელთაგანს ზოგს უკვე იცნობს ქართველი საზოგადოება, როგორც ენერგიის მქონე მუშაკთ, ამ ახალ დაწესებულებას სიცოცხლეს ჩაჰბერავენ და არ გაჰყინავენ ჩვეულებრივ ქართულ წერტილზედ. თანხა დიდი ექნებათ ხელში, საქმე უფრო დიდი და საპასუხისმგებლო და გულწრფელად უსურვებთ ღირსეულად შეესრულებინოთ მოვალეობა.

—

მესამე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი შეეხებოდა სათავად-აზნაურო სკოლას, რომელზედაც წარსულ ნომრებში ვრცლადა გვქონდა ლაპარაკი. ყველასათვის თვალში საჩხერი გახდა ის ამბავი, რომ ჩვენი სკოლა ცუდ მდგომარეობაშია, როგორც მატერიალურად (ე. ი. შენობის ვალის სი-

დიდით) ისე საპედაგოგიო და საადმინისტრაციო მხრით. ბ-ნ დირექტორის ორიოდე მეგობარის გარდა, თითქმის აღარავინა მალავს, რომ „სკოლის საქმე ცუდათ არის“ და საჭიროა რაიმე ძირითადი ზომების მიღება. თავად-აზნაურობის კრებაზედ მარტო დ. ჯორჯაძემ-ღა გაბედა იმის თქმა, რომ სკოლაში ყველაფერი რიგზეაო და ეს ხომ სწორედ ის ჯორჯაძეა, რომელიც არ დაერიდა თვით სკოლის კრებებზედ—სიცრუესაც, როგორც უკვე იცის ჩვენმა მკითხველმა.

სკოლის ამგვარმა მდგომარეობამ სამი მიმართულება შეჰქმნა კრებაზედ. ერთი ამტკიცებდა, რომ სკოლასა სჭირია აპეკა ცენზოსან თავად-აზნაურობის სახით, რომელსაც დაუნიშნავს დეპუტატთა საკრებულო და ამასთანავე მოითხოვდა თუობით მიცემას სუფსიდიისას, სანამ არ მოგვარდება ყველა საქმეებიო. ამ უსაფუძვლო აზრს ზედ ურთავდნენ უფრო უაზრო მოთხოვნილებას, რომ შეზღუდული იყვეს შეგირდების მიღება თბილისის გუბერნიის საზღვრებით. ამის წინააღმდეგ გამოითქვა ის აზრი, რომ სკოლას სჭირია დროებითი პატრონი, რადგან ეხლანდელი მისი ხელმძღვანელნი სრულს კოტრობამდის მივიდნენ, როგორც გამოირკვა წარსული და წრევანდელი წლის სასკოლო კრებებზედ. პატრონობა კი უნდა გაუწიოს იმან, ვინც ასაზრდოვებს მას, ე. ი. თავად აზნაურობამ.

ეს აზრი გამოსთქვა, დ. ვაჩნაძემ, რომელმაც დაუმატა სხვათაშორის რომ გუბერნიის ფარგლებით შეზღუდვა სასკოლო საქმისა პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა, რადგან აქ, საქართველოს ცენტრში უნდა დაეწაფოს ყოველი კუთხის შვილი, სწავლას, რომ მომავალ თაობაში განმტკიცდეს საერთო სამშობლოს სული; მხოლოდ უკანასკნელისათვის სკოლა უნდა იყოს დაყენებული ეროვნულ ნიადაგზედ და სწავლის საქმე განწმენდილი იმ პირობათა და პირთა ზეგავლენისაგან, რომელთაც მიგვიყვანეს დღევანდელ კრიზისამდე.

მესამე მიმართულება მოითხოვდა საკითხის შეწყვეტას, რადგან ეს საკითხი უნდა გადასწყდეს სასკოლო კრებებზედ და არა თავად-აზნაურობისაზედ. უკანასკნელის მომხრენი იყვნენ (დ. გურამიშვილის გარდა) სწორედ ისეთი პირები, რომელნიც მუდამ გაიძახიან: **თავად-აზნაურობის და სასკოლო კრება ერთი და იგივე პირებისაგან შესდგებაო;** მაგრამ მაინც ამავე პირებს კომპეტენტოვანად აღიარებენ სასკოლო კრებაზედ და თავად-აზნაურობის კრებაზედ კი ვითომ ისინი... „არ იცნობენ საქმეს“. საქმის გაცნობას არავინ შეეცადა კარგის მხრით, რადგან უკანასკნელი ძნელად საპოვნელია. თვით პედაგოგიური საბჭოს და გამგე კომიტეტის წევრნიც კი სდუმდნენ კრებაზედ და თავს ვერა მართლულობდნენ. იმასაც კი ამბობენ (ალბათ რამდენად მართალია, მაგრამ ჰგავს კია), რომ ბ-ნი დირექტორი სკოლისა ამ დროს კლუბში იყო და ბანქოს თამაშობდა. მივანდოთ გიმნაზიის დირექტორს ბანქოს თამაში და გადავიდეთ იმაზედ, რომ თავად-აზნაურობამ წინადვე არჩეულ კომისიას დაავალა დროებით მიეპატრონოს სკოლას, ვიდრე საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდეს.

ამ კომისიაში, სხვათაშორის შედის მარშალი, რომელიც ამავე დროს ამორჩეულია გამგე კომიტეტის თავმჯდომარედ, რაც შეიძლება გარანტიად ჩაითვალოს სასკოლო საქმეებისათვის, თუ საკმაო პირდაპირობა გამოიჩინა და საჭირო ზოგადი ზომები მიიღო, რომ ორი-სამი წლის განმავლობაში საქმე გამოსწორდეს სრულიად: დიდი საფრთხე კი მოელის, როგორც წინადაც ვწერდით, რომ სკოლის აუარებელმა წვრილმანებმა არ ჩაითრიონ ის ადამიანი, რომელსაც ისედაც ბევრი დიდი და საპასუხისმგებლო საქმე ახვევია.

—

შემდეგი საკითხები იყო: ა) სანადელო ფულის შეკრება საზოგადო საქმისათვის, რომელსაც მარშალმა წაუმძღვარა მშვენიერი მოხსენება (უკვე დაბეჭდილი გაზეთებში) და რომელიც ერთხმად იყო მიღებული. ბ) სყიდვა და შეძენა მიწებისა თბილისსა და თბილისს გარეედ, რაც მიღებული იყო ისე, როგორც დეპუტატთა საკრებულომ წარმოადგინა, —იმ გამონაკლისით, რომ კრებამ არ დართო ნება წყნეთის ჭუჩაზედ შეძენილ მიწაზედ შენობის აგებისა. გ) ფრიად საინტერესო ცდა: ათი წლის განმავლობაში დანახარჯი ფულის სტატისტიკის შედგენა. ეს სტატისტიკური ცნობები მეტად საინტერესონი იქნებიან მომავალში ფულის განაწილების გასათვალისწინებლად.

—

საკითხთა დასრულების შემდეგ, განხილული იყო ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უცვლელად იყო მიღებული და გამოითქვა მხოლოდ სურვილი, რომ დრამატიულ საზოგადოებას მიემატოს სამასი თუმანი, რასაც ჩვენ არ თანაუგრძნობთ და სამასი თუმანიც საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას ფრესკების შესაძენად, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენის ისტორიული

კულტურის შესანახად და რაც **განძადა რჩება** ერსა და არა იხარჯება ქველმოქმედებაზედ. თავად-აზნაურობა საბოლოოდ ამ ახალ გზას უნდა დაადგეს ყველა სფეროში და ხელი შეუწყოს რეალური პირობების შექმნას ცხოვრების განვითარებისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თავად-აზნაურობა გამონახავს სახსარს უფრო ამ სიმპატიურ საქმისათვის, ვიდრე სხვა რომელიმე საქველმოქმედო დაწესებულებისათვის. მით უფრო, რომ ეროვნული მუზეუმის საძირკველი დღეს მეცნიერულის სიწმინდით ჩაიყარა და სანუგეშო მომავალიცა აქვს იმისთანა მუყაითი და ეროვნული მუშაკის ხელში, როგორიც არის ბ-ნი თაყაიშვილი.

რ. გ

სოციალისტები და ხიზანთა საკითხი

„Бѣда коль пироги начнетъ печи сапожникъ"

საქართველოსათვის ყველაფერი უკუღმა ტრიალებს და როგორც შინაურობაში, მაგ. სემინარიელი არქიტექტორობას ჩემულობს, ვექილი ფინანსისტობას, ან ინჟინერი—პედაგოგობას; სოციალურ საკითხებში ბრწყინვალე თავადი სოციალისტობას, გასუქებული ბურჟუა პროლეტარიატის დამცველად გამოდის და ღიპიანი მედუქნე — სოციალ-დემოკრატად, ისე პოლიტიკურ, ეროვნულ საკითხების გადასაწყვეტად გამოდიან ყველა ჯურის სოციალისტები, რომელთაც ეროვნებისა არა ესმით რა.

ადგილობრივმა ბიუროკრატიამ შეიმუშავა **პოლიტიკური** პროექტი კანონისა ხიზანთა შესახებ; შეთხზა ისეთი უცნაური რამ, რაც მთელ რუსეთში არასოდეს არ მომხდარა, — მარტო იმიტომ რომ ისედაც ეტნოგრაფიულად აჭრელებულ კავკასიაში კიდევ ერთი ზედმეტი ელემენტი შეექმნა. ამისათვის არ მოერიდა, არც საზოგადო კანონმდებლობითი წესის დარღვევას, არც იურიდიულ ნორმებს, არც თავად-აზნაურობის ინტერესთა დარღვევას და ყველა ღონე იხმარა კანონის სახე მიეცა უკანონობისათვის; და, რაც ყველაზედ უფრო საკვირველია, საუკეთესო დამცველები ამ ბიუროკრატიულ შემეცნებისა, აღმოჩნდნენ უკიდურესი მემარცხენე ჯგუფები: სოციალ-დემოკრატია და სოციალისტ-ფედერალისტები. ასეთი თანხმობა ინტერესებისა სრულიად ეჭვსაც არა ჰბადებს სოციალისტების აზროვნობაში და როგორც მთავრობა ემყარება ამ შემთხვევაში დემოკრატიის [illegible], ისე გულუბრყვილო დემოკრატია მხარს უჭერს ამ ანტი-დემოკრატიულ კანონ-პროექტს.

ერთა უთანხმოება და შეხლა-შემოხლა ყველა დემოკრატიისაგანაა გმობილი და ჩვენი სოციალისტური დემოკრატიაც მუდამ ამას გაიძახის, მაგრამ როდესაც ბიუროკრატია არა კმაყოფილდება კავკასიაში არსებულ ეროვნებათა სიმრავლით და ხელოვნურადა ჰქმნის და აძლიერებს კიდევ ერთ ელემენტს, რომ მეტი მასალა იქონიოს ერთა შუღლისათვის, განყენებულ აზროვნობით დაბრმავებული ჩვენი დემოკრატია, ამ რეაქციონულ ხრიკებს უჭერს მხარსა. განა იგივე აგენტები ბიუროკრატიისა არა სცდილობდნენ შეექმნათ „მეგრული ეროვნება" და სხ., რომ უფრო ადვილად დავექსაქსენით, განა იმათვე არ გაამწვავეს ისედაც მწვავე მდგომარეობა სომეხ-თათართა შორის, განა იმავ ბიუროკრატიისაგან არ წარმოსდგება ყველა სხვა ხიფათი, რომ დღეს ასე გულუბრყვილოდა სჯერათ სოციალისტებს, რომ ბიუროკრატია სცდილობს ვითომ ბატონ-ყმური ნაშთების მოსპობას? ან როდის, ან რით შეუწუხებია ბატონ-ყმობის ნაშთებს ჩვენი მთავრობა, როდის და სად სხვა დროს ასე გამოუდვია თავი დემოკრატიულ ნაწილისათვის, რომ დღეს ყველა ჯურის სოციალისტები მხარში უდგებიან ბიუროკრატიის კიდევ ერთს ხრიკს?

ჩვენ კიდევ გვესმის, როდესაც ბ-ნი ჩხეიძე მხარს უჭერს და აჩქარებს კიდეც ხიზანთა კანონ-პროექტს, რადგან იგი ეკუთვნის ანტიეროვნულს, ანუ უკეთ, ეროვნულ ინდეფერენტიზმით ავადმყოფ პარტიას, მაგრამ ჩვენ არ გვესმის სრულიად სოც.-ფედერალისტების **ყალბი პოზიცია** იმ საკითხში, საცა სოციალისტური და ეროვნული პრინციპი ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ერთხელ ის წინააღმდეგობა, რომ არჩილ ჯორჯაძე ამ საკითხს ეროვნულის თვალსაზრისით სწყვეტდა და ახალი ფორმაციის ფედერალისტები, ე. ი. მისი ჩამომავალნი — სოციალისტური თვალსაზრისით და აღარ დაუბრუნდებით ამას; მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ის გარემოება, რომ ბატონი გელოვანი, რომელიც **პირველში ხიზანთა კანონ-პროექტს უარჰყოფდა და შემდეგ, როცა თბილისიდან უბრძანეს, მისი მოსარჩლე გახდა**, დღეს თავ-

გამოდებით უჭერს მხარს ჩხეიძესა და სხვა სოციალისტებს ამ საკითხის აჩქარებაში. იქნება გელოვანსაც, როგორც საზოგადოთ ს.-ფედერალისტებს— მუდამ ეშინია სოციალ-დემოკრატების აზრისა? რასაკვირველია ასეც უნდა იყოს... ნამეტნავად იმ მოურეცხავი სირცხვილის შემდეგ, რაც სოც.-დემ. აჭამა უხუთელ გლეხების მოტყუებისათვის.

ჩვენის აზრით, დეპუტატ გელოვანს ეხლა მაინც უნდა შეეკავებინა თავი და კომისიაში ჩუმადა ყოფილიყო, რადგან ამისათვის ბევრი საპატიო მიზეზი ჰქონდა: ჯერ ერთი სრულიად არ იცნობს ხიზანთა საკითხს და ხიზანთა მდგომარეობას და მაზედ ლაპარაკი მარტო პარტიის ბრძანებით—ვერაფერი გულწრფელობაა; მეორეც, ჩხეიძესთან ერთად საკითხის გადაწყვეტა იმ დროს სწორედ, როცა უკანასკნელის პარტიის ბრალდება გაუბათილებელია, ცოტა არ იყოს—მოპირდაპირეს ლაქუცსა ჰგავს და მესამეც, თუ კი საზოგადოთ ვისთვისმე ეროვნული თვალსაზრისი სავალდებულოა, იგი სავალდებულოა იმ პარტიის წარმომადგენელისათვის, რომელიც ყოველ დღე გულში ხელს იცემს და იძახის: ეროვნული ინტერესების დამცველი პარტია ერთად-ერთი მე ვარო.

მაგრამ რა მოვთხოვოთ იმ „ეროვნულ“ პარტიას, რომელიც „ხუთი დირექტორისაგან“ შესდგება და მთელი ერის სახელით კი ჰგზავნის სახელმწიფო სათათბიროში ერთ შანტაჟისტს— საქართველოს ინტერესების დასაცავად, ან რა მოეთხოვება იმ „ეროვნულ“ პარტიის წარმომადგენელს, რომელიც ეროვნულ საკითხის გადაწყვეტაში მხარს უჭერს ბიუროკრატიის და „ერის მოღალატე პარტიის“ (როგორც თვითონ ეძახიან) წარმომადგენელს?

* * *

უკანასკნელი ამბები

რედაქციამ მიიღო ანგარიში პირველ ღვინობისთვის 1914 წ. ,,სიღნაღის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა''. საზოგადოების ბალანსი გამოიხატა 195,206 მან. 14 კ. შარშან ამ დროს, თუ არა ვცდებით, იყო 100000-ზე ცოტა ნაკლები, ასე რომ ერთი ორად უმატნია ბალანსს. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამ ბანკმა მარტო 1912 წლის მაისში დაიწყო მოქმედება, ორი წლის განმავლობაში 200000-მდე ბალანსის აწევა ფრიად საგულისხმო საქმეა. ჩვენის მხრით უსურვებთ წარმატებას და კეთილ მიმდინარეობას საქმეებისას.

— —

ქართველ ქალთა ამხანაგობის ჭრა-კერვის სკოლა, რომელსაც სხვათა შორის თავად-აზნაურობა აძლევს 600 მანეთს დახმარებას,—წრეულს გაათავა 39 შეგირდმა. სახელოსნო საბჭოს მოურავმა და ექსპერტებმა, რომელნიც დაესწრებიან ხოლმე გამოცდებს და ხელს აწერენ სკოლის ატესტატებს, ერთხმად მოიწონეს შეგირდების კარგი მომზადება, რაც გამოიხატა უმაღლეს ნიშნებით: ხუთებით და ხუთი ჯვრით.

— —

,,როგორც სწერენ, ყოფილი თანაშემწე მეფის მოადგილისა სენატორი ვატაცი, მოწვეულია ლიანოზოვისაგან ნავთის ქარხნების მოურავად—65,000 მანეთად წელიწადში“. („მშაკ“ № 126)

— —

დღეს, დილის 10 საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში მოხდება **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრთა**

წ ლ ი უ რ ი კ რ ე ბ ა

საგანი კრებისა: 1) საზოგადოების მოქმედების წლიური ანგარიში, 2) შემოსავალ-გასავალის ანგარიში, 3) სარევიზიო კომისიის აქტი და 4) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა.

ამის გარდა, კრებაზე ბ-ნი ე. თაყაიშვილი წაიკითხავს მოხსენებას თავის მოგზაურობის თაობაზე სამეგრელოში და აირჩევენ ახალ წევრებს. იქნება აგრედვე სურათების გამოფენა სხვა და სხვა არქეოლოგიურ ნაშთებისა.

კრებას გარეშეებსაც შეუძლიანთ დაესწრონ.

ვ რ ე ს ა

სოციალ-დემოკრატიულ ახალ „ტალღაში“ ახალი შედევრია სტილისა და აზროვნებისა, რომლითაც ჰკვებავენ მუშებს, რადგან უკანასკნელი, მათის ფიქრით, ყველაფერს წაიკითხავს:

„მუშათა კლასი და ნაციონალისტური ბანაკი

პეტერბურგის მუშებმა ამას წინად ბოიკოტი

გამოუცხადეს სახალხო უნივერსიტეტს, სადაც თავმოყრილია რუსეთის მეცნიერების ცნობილი წარმომადგენლები.

მერე ნუ თუ მუშათა კლასი მეცნიერების წინააღმდეგ ამხედრდა?

სრულიადაც არა. მეცნიერების ყოველი გამარჯვება მუშათა კლასის გამარჯვებაა.

ვთქვათ ჰაეროპლანი გამოიგონეს, ეს ძველი წყობილების დანგრევას აჩქარებს. ახალი ბუნებრივი ძალა აღმოაჩინეს. ეს ახალი წყობილების მოახლოვებას ხელს უწყობს. ამიტომ არის მუშათა კლასი თავგამოდებით იცავს მეცნიერების თავისუფლებას და ეს იმ დროს, როცა ბურჟუაზიული მეცნიერება ჭეშმარიტებას გადუდგა და იმის ძიებაშია, როგორ დაიცვა არსებული წყობილება ახალ ძალთა თავ-დასხმისაგან.

ამისდა მიუხედავად პეტერბურგის მუშები სახალხო უნივერსიტეტს არ დაერიდნენ და მას ბოიკოტი გამოუცხადეს, ვინაიდან უკანასკნელის მესვეურებმა აღარ ისურვეს ლექციების არჩევა და შინაარსის მოკლე აღნუსხვა მუშათა ორგანიზაციებისათვის მიენდოთ.

ამის შემდეგ ვის უნდა გაკვირვებოდა ქუთათურ მუშათა ნაბიჯი?

იმათ ბოიკოტი გამოუცხადეს წვრილფეხა რენეგატებს. განა ისინი ვიწრო-პარტიული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდნენ?

და სხვა ამისთანა აბდაუბდა. საწყალი მუშები, ასეთი მეთაურები ჰკვებავენ მათს გონებას, ასეთი „მეთაურებით" („ტალღა" 3): პეტერბურღის მუშები, ბოიკოტი, მეცნიერები, ჰაეროპლანი, ბურჟუაზიული მეცნიერება და ქუთათური მუშები...

„ვსთქვათ, ჰაეროპლანი გამოიგონეს, ეს ძველი წყობილების დანგრევას აჩქარებს. ახალი ბუნებრივი (?) ძალა აღმოაჩინეს. ეს ახალი წყობილების მოახლოვებას ხელს უწყობს"—კაცს ეგონება ,,შემლილების'' მეორე აქტზედ არის და მათი ლაპარაკი ესმის... ესეთი ხალხი ხელმძღვანელობს ჩვენს ,,პროლეტარიატს და მიჰყავს საერთაშორისო იდეალებისაკენ'', მართლაც რომ **საით მ. ვდივართ?** ,,ჰაეროპლანი ძველი წყობილების დანგრევას აჩქარებს''... ნეტა ისეთი რამ მაინც გამოიგონოს მეცნიერებამ—ჩვენებური დასელების ჭკუაზედ მოყვანის დაჩქარებაც შეეძლოს.

წალკის ბერძნების გადასახლება და იქაურ ქართველთა მდგომარეობა

წალკა მდებარეობს ბორჩალოს მაზრაში, თრიალეთის მიდამოებში, მდ. ქციის და ხრამის სათავეებთან.

საზოგადოთ წალკაზედ უფრო სიცივე და სიძივრებია, ერთი ბუჩქი, ერთი ძირი ხე არ მოიპოვება. მისდევენ საქონლის მოშენებას და ხვნა-თესვას. მოჰყავთ პური, ქერი, კარტოფილი და სელი. აქეთ საზოგადოთ ნიადაგი უფრო ყველგან შავი მიწაა.

ხმარობენ ქართულ გუთანს, რვა უღელი უბიათ, ერთ დღიურ სახნავში თესენ შვიდ ფუთს და იძლევა ორთაშუა რიცხვით 50 ფუთ ჭირნახულს.

ერთი დესეტინა სათივე იძლევა—100 ფუთ თივას.

მისდევენ მერძეობას, აქაური მცხოვრებნი ყიდულობენ მეცხვარეებისაგან რძეს, აგროვებენ და აკეთებენ თუშის ყველს.

საბედახნის ადგილშია ყველის ქარხანა და ეკუთვნის გერმანელს, იაკუბლოს ქარხანაშიაც ყველს აკეთებენ და რუსს ეკუთვნის, ახალიკის და კირიაკის ქარხნები კი ეკუთვნის ურიებს და ხდიან ერბოს.

წალკის მცხოვრებლებს შეადგენენ: უმეტესი ბერძნები, თათრები და სომხები, ქართველები კი ორ სოფელს გარდა, რეხასა და კლდეისში,—სხვაგან არსად ცხოვრობენ.

თათრების სოფლები შემდეგია: არჯევან—სარალან, თეჯისი, ჩოლიანი, გით-დაკლარ და მინა-საქანდ.

სომხის სოფლებს შეადგენენ: ა) აშკალის საზოგადოება ტამ-ბაშ, აშკალა, დარაქო, ყამურ, ჯინისს, დაბალ-ხარაბა და ბ) ნარდევანის საზოგადოება: ნარდევან, აიაზმან, კუშჩი, ორნაშედ და კიზილ-კილის.

ბერძნების სოფლებს შეადგენენ და მათი მამულის რაოდენობაც შემდეგია:

ქიუმბეთი—	150 კომლი	— 1500 დეს.
თაქ-კილის—	98 „	— 1000 „
სანტა —	70 „	— 950 „
კარაკომ—	60 „	— 1100 „
სარდო —	15 „	თ-დ ციციშვილის მამული უჭირავთ.
თლიანკ—	100 კ.	— 1200 დეს.
იმერა —	75 „	— 500 „
ხარაბა ენიკეი—	85 „	— 700 „
კუნი-ყალა —	150 „	— 1200 „
ბეშტაშენი—	270 „	— 2300 „
ბაშკევი—	170 „	— 1700 „
წინ-წყარო—	120 „	— 1160 „
რეხა—	150 „	(170 დეს. ციც. ბარ-და) და + 1200 დ.
ავრანლო —	200 კ.	— 2500 დეს.
ედიკლის—	170 „	— 1800 „
ხადიკი—	45 „	— 500 „
სანამერი—	90 „	— 800 „
ბარმაქსიზი—	200 „	— 2700 „
ახალიკი	51 „	— 800 „ (ბარათ. მამულ.)
შიშიაკი—	82 კ.	— 600 დეს.
კირიაკი—	97 „	— 800 „
ბაიბურთი—	30 „	— 500 „
დიდი-ელიანკი—	70 „	— 700 „
სულ 23 სოფ.		— 25370 დეს.

ბერძნების გადასახლების მიზეზი შემდეგია: 1) მაზრის ადმინისტრაციის და მმართველობის—დაწყებული რიადნიკიდან, მაზრის უფროსამდის, მწერლიდან, მოსამართლე-თავმჯდომარემდის და მთელი მაზრის მოხელეების თვითნებობა უკანონობა და მათი (ბერძნების) არაფრად ჩაგდება. 2) განიცდიან მამულის სივიწროეს, 3) მეცხვარეებისგან შევიწროება, სათიბ-საძოვრების წახდენა რათაც ხშირად იარაღით შეტაკება უხდებათ მეცხვარეებთან და 4) გადასახადების მოუწესრიგებლობა.

ბერძნების სურვილია, რადგან მათი მამა-პაპანი მეფე ერეკლემ დაასახლა (როგორც მათ განაცხადეს და მოწმობენ გავანტეულ წალკაზედ ქართველების ეკლესიები) მათი გადასახლების შემდეგ თავიანთი უფლებანი ამ მამულებზე გადასცენ ქართველ ხალხს.

ბერძნებმა გადასახლება დაიწყეს, თუმცა ჯერჯერობით შეჩერდა საბერძნეთში გადასახლება, რადგან იქ ალბანეთის ბერძნების ხოცვა-ჟლეტაა და საბერძნეთის მთავრობა ჯერ მათ უნდება და, როგორც კი მოხდება მათი დამშვიდება, აქაურ ბერძნების გადასახლებას შეუდგება.

წალკის ყველა ბერძნებს გადაწყვეტილი აქვთ გადასახლება და ამ სამ წელიწადში წავლენ.

ჯერაობით გადასახლდნენ: ახალიკის, ბეშტაშენის, კირიაკის, ბაიბურთის, ბაშკოვის, ავრანლოს, ედიკლის, ქიუმბეთის და სხვა სოფლებიდან სულ 545 კომლი.

ბერძნების გადასახლების ტალღას აჰყვნენ ქართველებიც. სოფ. რეხა მდ. ტუსრებზედ მდებარეობს, რომელიც ერთვის მდ. ქციას და ამ შეერთებას ქვეით იწყობა მდ. ხრამი, ამავე სოფელში სცხოვრობენ ქართველები და ბერძნები, (კავკასიის კალენდარს კი მარტო ბერძნები აქვს ნაჩვენები) რეხელი ქართველებიც ბერძნებთან ერთად აპირებენ გადასახლებას. მათი გადასახლების მიზეზი შემდეგია: რეხელები თ-დ ციციანთ მამულით ცხოვრობდნენ დაწესებიდან, როდესაც მათ თავიანთი თავი ხიზნებათ აღიარეს, ციციანთ კანტორამ მოიჯარადრეებად აქცია ეხლა მათი მამული ერთის ჯაკო გიკაევს იჯარით გადასცა რეხელები წინად საიჯაროს იხდიდნენ ორას თუმანს, ჯაკო გაკაევმა საიჯარო გადასახადი აუწია ხუთას თუმნამდის. აი ამა შევიწროების გამო რეხელებიც ბერძნებს მისდევენ. ასეთივე საქმე კლდეისელებისა, რომელთაც, როგორც წინა წერილშიაც მოგახსენეთ, უჭირავთ კნ. ბარათაშვილის მამული.

—

წალკის ბერძნები თათრულად ლაპარაკობენ, იშვიათად ბერძნულად და სომხურად.

თითქმის ყველა წალკის სოფელში არსებობს სამინისტრო სკოლები და ეკლესიები. წირვა-ლოცვა რუსულად და ბერძნულად სწარმოებს და უთარგმნიან თათრულად. ზოგიერთ სოფელში სამრევლო სკოლებია. სწავლა ყველგან რუსულად სწარმოებს. უფრო მასწავლებლები უცოდინარნი არიან.

ისტორიული ნაშთებია შემდეგ სოფლებში: შიშიაკში - წმ. იოანე ნათლის მცემლისა, ტაშბაში ტაძარია ქართული წარწერით, ედიკლისში—შვიდი ეკლესია, ჯანისში უშენები ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზედ და ქართული წარწერით, ბარმაქსიზში ძველი ეკლესიის ნანგრევები ასომთავრული წარწერით ბეშტაშენში—წმიდა გიორგის ეკლესია და კირიაში —წმ. ილიის ეკლესია.

წალკის ბერძნების სოფლების მდგომარეობა. მომეტებულად ნახევრად მიწაში სცხოვრობენ, ქვიტკირის შენობებია, ბანიანი სახლები შიგა და შიგ გადახურული აქვთ. შეშა ძვირია, ფასობს საჟენი—20 მან., ყველგან საწვავად ხმარობენ წივას, რის გამო გავრცელებულია სხვა

და სხვა ავადმყოფობა და უფრო კი თვალის ტკივილი.

საქონელი იაფია: კარგი უღელი ხარი—ფასობს 200 მან., რომელიც ქართლში ეღირება—400 მან. ცხენი ამავე ფასობაზედ. მატყლი ექვს მანეთის ზეით არ მიდის ფუთი.

ჩაცმულობა ბორჩალოელებისა უფრო უკეთესია ვიდრე ქართლის გლეხებისა, იშვიათად შეხვდები ფარაჯიან გლეხსა, აუცილებლივ შალის ჩოხა-შარვალი აცვია, ღურჯი ახალუხი, ტყავის ქუდი და ტყაპუჭში გამოწყობილნი დაიარებიან.

ზამთარში სიცივე დიდია, ხშირი ყინვა იცის და 30 გრადუსამდისადის.

სოფ. რატევანი მდებარეობს 3—4 ვერსის სიშორით ჩრდილოეთის მხრივ ეკატერინეფელდიდან, სცხოვრობენ სომხები და ქართველები—32 კომლი ითვლება, კავკასიის კათედრით ნაჩვენები სომხებად. სამინისტრო სკოლა არსებობს, სომხებისათვის ეკლესიაა, ქართველები კი სოფ. ქვეშის ეკლესიაში დაიარებიან.

სოფ. ქვეში მდებარეობს მდ. მაშავერის მარცხენა მხარეს ჯალალ-ოღლის გზატკეცილის პირს. ფრიად ადგილასაა გაშენებული, შუაში კლდეა ამართული ციხე-კოშკები და ზედ ეკლესია არის აგებული. 35 კომლი ქართველია.

შენობებს აშენებენ, გერმანელების მიხედვით, აგრეთვე მათგან ვადიდეს ვენახების გაშენება.

ქვეშის სამრევლოს შეადგენს: სოფ. აკაურთა, ტანძია, ბალნისი, რატევანი და ეკატერინეფელდის ქართველობა (კავკასიის კალენდარი კი სოფ. აკაურთას ნაჩვენებია თათრებად).

ქვეშელებს შეუძენიათ ორბელიანებისაგან 230 დესეტინა მამული, თითო დესეტინაში მისცეს—180 მანეთი.

სოფ. ტანძია მდებარეობს აკაურის მთის ფერდობზედ აღმოსავლეთისკენ. ცხოვრობენ ქართველები 32 კომლია, მეტად ღარიბი სოფელია.

ტანძიელები თავიანთ თავს ხიზნებად სთვლიან, თ-დ ორბელიანის მამულში მოსახლეობენ; ტყე ზედ აკრავს სოფ. ტანძიას, და სარგებლობის ნება კი არა აქვთ, ვიდრე საიჯარო ხელწერილს არ დასდებენ. მიწაში ცხოვრობენ და წივას ხმარობენ საწვავად.

სოფ. ტაბახმელა (კაზრეთი) მდებარეობს მდ. მაშავერის გაღმა მარცხენა მხარეს, ფრიად ადგილასაა გაშენებული, დასავლეთისკენ ტყე აკრავს, ცხოვრობენ 40 კომლი ქართველი და სომხები, თ-დ ქობულაშვილების მამულია.

ტაბახმელას სააგარაკოდან თ-დ ქობულაშვილები ჭეიდიან ტყეს 750 დ. და ჯალდამის მამულს—400 დ. ეს მამული სახნავია, ტაბახმელას გამოღმა მდ. მაშავერის მარცხენა მხარეს ჯალილ-ოღლის გზატკეცილზედ მდებარეობს, სარწყავია, საწისქვილო [illegible]. ამ ორთავე მამულს ერთი-ერთმანეთზედ თ-დ ქობულაშვილები ტაბახმელელებს აძლევს 150 მან. დესეტინას.

სოფ. ბალიჭი მდებარეობს ტაბახმელას ჩრდილოეთით მდ. მაშავერის მარჯვენა მხარეს სამი ვერსის სიშორით, ცხოვრობენ ქართველები და სომხები, კარგი მდგომარეობა აქვთ, სახლები ქვიტკირისა უდგათ და გადახურულია კრამიტით. სამოც კომლამდის ითვლება.

ბალიჭის სამრევლოს შეადგენს სოფლები: ვარდის უბანი, ტაბახმელა, კითხეთი და პატარა და დიდი დმანისი.

სოფ. დიდი დმანისი მდებარეობს მაღალ გაშლილ მინდორზედ და გადმოჰყურებს მდ. მაშავერის ხეობას. აქედან იწყება წალკა-ბაშკიჩეთის გზა, რომელზედაც მიუდით მეცხვარეებს თრიალეთისკენ ცხვარი.

სოფ. დმანისში 63 კომლი მცხოვრებია; 11 კომლი დროებით-ვალდებული ქართველი გლეხები არიან, დანარჩენი კი სომხები.—სამინისტრო სკოლა არსებობს, სასოფლო-სამმართველო და კანცელარია.

აქედანვე იწყება თვალ-უწვდენი მინდვრები, რომელშიც არც ერთი ძირი ხე, ერთი ბუჩქი არ მოიპოვება.

მდ. მაშავერი თვალთაგან ეკარგებათ, ვიწრო კლდეებში მიიკლაკნება და მისი ნაპირები ორივე მხარეს თანაბარია და შორიდან გვონია თითქოს გაერთიანებული მინდორია.

დიდი დმანისიდან დასავლეთისკენ მდ. მაშავერის გაღმა, სადაც ერთვის პატარა წყალი კარა-სუ, მდებარეობს ბუნებრივი **სიმაგრე ძველი დმანისის** ციხე-ქალაქი, შესანიშნავია არხეოლოგიურის მხრივ.

ძველი დმანისის ადგილ-მდებარეობა შეუძენიათ თ-დ ორბელიანებისაგან **სოფ. პატა დმანისის** გლეხებს რომელიც აქვე ახლოს ჯალალ-ოღლის გზა-ტკეცილზედ მდ. კარა-სუზედ მდებარეობს, სადაც ცხოვრობენ 15 კომლი ქართველი. ამათვე შეუძენიათ ორბელიანებისაგან ტყიანი ადგილები 400 დეს.

სოფ. ყალამშა მდებარეობს წალკა-ბაშკიჩეთის გზაზედ, ეკატერინეფელდიდან იქნება—32 ვერსი, ყალამშიდან ბაშკიჩეთამდის კი—4 ვერსია. ქართველები ცხოვრობენ და ითვლება—52 კომლი, დროებით ვალდებული გლეხებია თ-დ ქობულაშვილისა, რომელმაც უფასოდ დაუთმო ნადელები.

ყალამშის სამრევლო შესდგება 138 კომლისაგან, ე. ი., მიჯისა, ბოსლევისა და ყალამშისაგან.

არსებობს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სკოლა, სწავლა კვარიანად სწარმოებს; აგრედვე დაარსებულია წყრილი კრედიტი, რომლის შემწეობითაც მამულს იძენენ.

სოფ. ულამშას ადმოსავლეთისკენ ზედვე აკრავს ახლად დასახლებული რუსებით სოფელი **კატასუნოვო**, სადაც მოსახლეობს 125 კომლი ამათში 15 კომლი ბერძენია, 1910 წლიდან არიან დასახლებულნი; სოფ. კატასონოვის მამული შეადგენს 2500 დესეტინას და ეკუთვნოდა თ-დ ქობულაშვილებს.

ეს მამული წინად ეჭირათ ულამშელებს, ბოსლეველებს და ვარდისუბნელებს იჯარით თ-დ ქობულაშვილებისაგან.

ქობულაშვილებმა ქართველებს შეაძლიეს ეს მამული, მათ თავს არ შეიდეს და ბოლოს რუსებს მიჰყიდა. ქართველებს თავში სატემად გაუხადა.

სოფ. კატასუნოვოდან გადასახლდნენ ბერძნები და ზოგი რუსებიც (ახალ ოზრაილის სექტა) წავიდნენ ამერიკაში, მათი წილი შეიძინეს ულამშელებმა—560 დესეტინა, ბოსლეველებმა—300 დეს., თათრებმა—100 დეს. და 400 დესეტინას კიდევ ეიდულობენ და ულამშელებმა და ვარდისუბნელებმა 160 დეს.

დანარჩენ რუსებსა და ქართველებს შეტაკება უხდებათ ამ მამულის თობაზედ საბალახოსა და საძოვარზედ სასლის დგრეც ბევრჯელ მოუხდარა.

ულამშელებიც ზოგიერთნი ფიქრობენ საბერძნეთში გადასახლებას, თუმცა ეთუმანში არიან.

სოფ. ახა მდებარეობს ერთ-ერთი ხეგის სათავესთან დიდი კომარეთის ბირდაბირ; ქართველები ცხოვრობენ და 25 კომლი ითვლება, კავკასიის კალენდრით კი ბერძნებად არის ნაწვენები. აქაური ქართველები ბერძნებთან ერთად ფიქრობენ საბერძნეთში გადასახლებას.

სოფ. დიდი გომარეთი მდებარეობს ულამშის ადმოსავლეთისკენ და დაშორებულია 20—25 ვერსით, სასაზინო მამულზედ მოსახლეობს. გომარეთის საშამასახლისო ითვლება 400 კომლი. სამრევლოს შეადგენს: დიდი და პატარა გომარეთი, მამულა სოფელი, კაკლიანი და ახა—313 კომლი. ქართველები არიან.

დიდსა და პატარა გომარეთში მცხოვრები ითვლება—230 კომლი. აქ არსებობს წერა-კითხვის გამარტ. საზ. სკოლა, დარიბად არის მეტად. თუმცა მცხოვრებლებს ფული ბევრი დაუხარჯავთ შენობისათვის, სწავლა ვერ არის დაუნებული. წყრილი კრედიტიც არსებობს.

გომარეთის საზოგადოებას შეუძენია საკვლეხო ბანკისაგან—2300 დეს. მამული, გენერალ-ფელდმარშალისაგან—ლარაძის მამული—600 მდ. ხრამზედ და საგინაშვილის მამულიც 1500 დესეტინა. ამათ ეკუთვნოდათ სასაზინო მამული დინდუზარა 800 დეს. მმართველობამ ჩამოართვა და გადასცა ნემცებს, რომელთაც სხვა სასაზინო მამულიც უჭირავთ 700 დეს. სახნავი.

გომარეთის საზოგადოებას ეჭირება თითქმის 5100 დეს. გამოანგარიშებით თითო კომლზედ მოდის 13 დეს. მაგრამ ნამდვილად კი ასე არ არის, მამულით სარგებლობა ანაბარი არ არის, ზოგს მოჭარბებით უჭირავს და ზოგს კი არა ჩეოფნის.

გარდა ამისა, ზოგს იმდენი ცხვარი და საქონელი ჩუავს, რომ საზოგადო საძოვრით მარტო ესენი სარგებლობენ, სხვები არას რჩებიან და, აი ეს იწვევს მათ შორის უკმაყოფილებას.

გომარეთის საზოგადოება სარგებლობდა დღემდის აგრეთვე სასაზინო ტეით და საძოვრით, რაშიაც ისდა თითო ცხვარზედ—4 კაპ. და სხვილ საქონელზედ—25 კაპ.

წინად თითო კომლს ტეიდან ნება ეძლეოდა გამოეტანა თითო ძირი მუხა უბაოდ და თითო ძირი წიფელი დაგლეგულის ფასით, ძირნაყარა შეშით სარგებლობა კი ექვსი თვის განმავლობაში ბარათით ეძლეოდათ—ისიც ფასად.

დღეს ეს უპირატესობანი მოუსპია და დესეტინაზე სთხოვენ საძოვარსა ტეე-ლრეზედ—25 კაპ. ამაში ბევრი უსარგებლო მამულიც შედის, დიდი ფული დგება და ძალაუნებურად საძოვარზედ ხელი უნდა აიღონ.

ტეის გამგე ანდრეშვილი და მისი ხელქვეითნი დიდს თვითნებობას იჩენენ გომარეთის ხაზოგადოების წინააღმდეგ, რისგანაც უკანასკნელნი განიცდიან დიდ შეკიწროებას.

Legatus.

ცხინვალის სკოლის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ნამდვილის წყაროებიდან შევიტყვეთ, წარსულს 1913 წ. შუამავალ მომრიგებელის წინადადებით მომხდარა კრება და გადაწყვეტილა დაარსდეს დ. ცხინვალში პირველ-დაწყებითი უმაღლესი ტიპის სკოლა, რისთვისაც ცხინვალელებს უნდა მიეცათ ადგილი სკოლისათვის და ათასი თუმანიც ფულად ერთ დროულად. ათასი თუმანიც უნდა მოკრეფილიყო ცხინვალის გარშემო მცხოვრებთა შორის.

თქმა არ უნდა, სადაც ნათელია, იქ სიბნელეც შესაძლებელია და სწორედ ამ სიბნელეს უნდა მიეწეროს, რომ, ადგილობრივმა ებრაელებმა, რომელნიც თითქმის უმრავლესობას შეადგენენ, უარი განაცხადეს რისამე გაღებაზედ სკოლისათვის. უეჭველია ისიც, რომ ეს ებრაელები უარს ამბობდნენ იმ მოსაზრებით, რომ ისინი თავიანთ შვილებს ქრისტიანების სკოლაში არ აღზრდიან. ამათ მიჰყვნენ გონებით ბნელი ზოგიერთა ქართველები, სომხები და ოსებიც. ბოლოს სინათლეს გაუმარჯვნია და გადაწყვეტილა დაარსდეს სკოლა. რა გვარი სკოლა იქნება და რამდენად სასარგებლო ჩვენ ქართველებისათვის ამის თქმა მეტად ძნელია. გაჩაღებულა ხელის მოწერა შეწირულობათა და ზოგიერთებს ისეთებს და იმდენზე მოუწერია ხელი, რომელთაგანაც საზოგადოება არამც თუ ათ თუმანს, ათ შაურსაც არ მოელოდა. სხვათა მრავალთა შორის ექვსი დღიური (სამი დესეტინა) მიწა შეუწირავს ადგილობრივ ცნობილ ვაჭარს პავლე ოვანოვს და ორმოცდაათი თუმანი ნაღდი ფულად წყლის გამოსაყვანად. შეწირული მიწა მდებარეობს ცხინვალის მისავალზე ესრედ წოდებულ „ზღუდრის გვერდაზე“ სულ რამდენიმე საჟენის მანძილზე. ამავე მიწასთან ერთი დღის მიწაც შეუწირავს ადგილობრივ ხელოსანს და ვაჭარს ჩიტა გასრაძეს, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ ამ უხვი შეწირულებიდან არ მიუღიათ არაფერი სკოლის ამორჩეულ პირებს რა მოსაზრებით ჯერ არ ვიცით. მხოლოდ ამ ამორჩეულ პირებს მიუმართავთ თავად ვასილ გიორგის ძის მაჩაბლისათვის, დაეთმო ადგილი და როგორცა ჩანს ბ-ნ მეურნეს წერილიდან („სახალხო გაზეთი“ 20 მაისი № 1190), პატივცემულ თავადს ვ. გ. მაჩაბელს შეუწირავს ოთხი დღიური (ორი დესეტინა) მიწა მდებარე ნაცარ გორაზე გასსირეთის მიჯნაზე. რაღა თქმა უნდა დიდი მადლობის ღირსია თავადი მაჩაბელი ამ გულ-უხვი შეწირულობისათვის. მისი მამული მართლაც ჩინებულია ხეხილის ბაღის, ბოსტნეულის, ვენახის და სხვა მოსავლისათვის და რამდენად გამოდგება სკოლისათვის ამისი კი რა მოგახსენოთ. ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ მაჩაბლის ადგილი ჯერ ერთი შორს არის ცხინვალზე, მეორე — მოვრღნილ-მიურეუბელი ადგილია, მესამე — რიგიანი გზა არა აქვს და რომ შესაფერი გზა გაიყვანონ დიდ ხარჯს მოითხოვს. ამასთან გარშემო სულ ვენახებია, სარწყავი მამული არტყვია და თვით ადგილი დაცემული ადგილია და ჯანმრთელობისათვის, ისიც პატარა ახალგაზრდა მოსწავლეებისათვის დიდად მავნებლად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ თვით ცხინვალი ცნობილია ექიმებისაგან, დამპალ ციებიან ადგილად და მაშასადამე თავად მაჩაბლის მიწა კი ერთი-ორად და სამად მავნებელია ამ მხრივ.

ხმებია: ვითომ იმიტომ არ მიუღიათ პავლე ოვანოვის ადგილი, რომ მას სურს ფასი დასდოს თავის მამულსა. ოვანოვს ჰქონია ერთიანი მიწა 12 დესეტინა. ჯერ ერთი ასეც რომ იყოს, გასაკვირველი არაფერია ვინ არ უწყის, რომ ყველა თავისას ცდილობს, სკოლის გამო ამორჩეული პირები იმითი კი არ უნდა ხელმძღვანელობდნენ ვის რა განზრახვა აქვს და ვინ რას ფიქრობს, არამედ იმას, რომელი ადგილი უფრო სასარგებლო და საჭიროა სკოლისათვის. თუ მართლა ზემო აღნიშნული მიზეზის გამო უარსა ჰყოფენ ოვანოვის მამულს, დიდად შემცდარნი იქნებიან, მით უმეტეს რომ როგორც შევიტყვეთ ნამდვილად რაკი შეეტყვია ზემო აღნიშნული მიზეზი ოვანოვს, სრულიად სწირავს, რაც მიწა აქვს, ასე რომ იჭვი ოვანოვის ინტერესისა ჩაიდულის წყალს სვამს. ოცდათხი დღის ოვანოვის მიწა, ერთი დღისა კასრაძისა ეს თქვენი ოცდახუთი დღისა და ამისთანა უხვს საჩუქარს ყურადღება უნდა მიექცეს. ასეა თუ ისე, ჩვენ დაწვრილებით განხილვაში არ შევალთ, ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ მხოლოდ გვაინტერესებს სკოლა და იმედია ამორჩეულნი პირნი ანუ ვისადმიც ჯერ არს, მიაქცევენ ყურადღებას, გამოიკვლევენ დაწვრილებით სკოლის ადგილების ღირსება-ნაკლულოვანებას და სკოლას არ დაუქვემდებარებენ რაღაცა პირად ანგარიშებს, თორემ ბოლოს სინანული ვეღარას უშველის.

რ. ერედველი.

„გიორგი სააკაძე და მისი დრო“

ასეთი რიხიანი სათაურით მოგვივიდა პატარა, 52 გვერდიანი წიგნაკი მ. ჯანაშვილისა.

ძნელია გამონახვა ამ წიგნაკის სახელისა: რა არის ესა—ისტორიული ნარკვევი ან კვლევა, პოლემიკური კინკლაობა, საბრალმდებლო ოქმი, თუ სხვა და სხვა ცნობათა გადაუბმელი გროვა. ჯერ, ორიგინალური მეთოდის მიხედვით, მოყვანილია რამდენიმე მწერალის აზრი საქართველოზედ: არქანჯელო ლამბერტისა, რომ ოდესმე საქართველო თავრიზიდან არზრუმამდე იყო და შავი ზღვიდან კასპიისამდე, რომ თავადები არ ემორჩილებოდნენ მეფეს, რომ დადიანი დაუმეგობრდა ათაბაგს, შეიყვარა ჭილაძის ქალი, რომ მისმა ვეზირმა პაპუნამ შეიყვარა მისივე ცოლი; რომ ამისათვის ლევან დადიანმა ცხვირი მოსჭრა. არის ნათქვამი ისიც, რომ იმერეთში ჰყიდდნენ ტყვეებს, რასაც შარდენიც ამოწმებს თურმე.

არის ისიც, რომ ათაბაგობა დააწესა მესხეთში თამარ-მეფემ; რომ საფარ-ფაშა ტომით ქართველი იყო და სხვა მრავალი გადაუბმელი ცნობა, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ არც ერთმანეთთან არც თემასთან. უნდა მკითხველმა ძალა დაატანოს თავსა და იფიქროს, რომ ეს ობიექტიური აღწერილობაა იმ პირობებისა, საცა უხდებოდა მოქმედება გიორგი სააკაძეს. ასეთივე აღწერილობაა მდგომარეობისა ქართლში და კახეთში, რასაც მოსდევს დასკვნა:

„დიალ, შავ-ბნელი იყო ეს დრო: ტლანქი ძალა პარპაშებდა საქართველოს სიგრძე-სიგანეზედ“.

ეი ამ დასკვნის შემდეგ ბ-ნი ჯანაშვილი გადადის თვით გიორგი სააკაძის ამბავზედ და 12—26 გვერდამდის ეკამათება მეორე შინზრდილ ისტორიკოს-მოზლაპრეს ბ-ნ ანტონ ფურცელაძეს.

მეცნიერულის თვალსაზრისით რომ განიხილოს ადამიანმა მ. ჯანაშვილის და ან. ფურცელაძის თხზულებანი, უნდა გულახდითა ვსთქვათ, ორთავ ერთნაირად კრიტიკის გარეშე რჩებიან, როგორც ნაყოფი ფანტაზიისა (ა. ფურც.) ერთი და როგორც ციტატების გროვა (მ. ჯანაშ.)—მეორე. მაგრამ უპირატესობა უნდა მიეცეს ან. ფურცელაძის წიგნს იმ მხრივ, რომ ლიტერატურულად შემუშავებული და სასიამოვნო წასაკითხს წარმოადგენს, მაშინ როდესაც მ. ჯანაშვილის ბროშურა რაღაცა „ტლანქი ძალის პარპაშსა“ ჰგავს, რომელიც ვერც თვითონ მოუნელებია და ვერც მკითხველი მოინელებს. ან რა მიზეზია, რომ მ. ჯანაშვილს **ახლა** მოსურვებია ან. ფურცელაძესთან კამათი ისეთ უმნიშვნელო საგნებზედ, როგორც „შაჰ-აბაზი“ სახელია თუ არა, სააკაძემ ცხენები დააპარვინა თუ არა და სხ. მთელი მეთექვსმეტე გვერდი მაგ. გადმობეჭდილია დიდმოურავიანიდან იმის დასამტკიცებლად, რომ ან. ფურცელაძეს შეცდომით უთქვამს: „40 ვერსტი მეტი ტყე-ტყე ირბინეს“ სააკაძემ და მისმა ცოლშვილმაო.

აღარ შევჩერდებით ამგვარ კამათზედ (?), რომელსაც ასე ათავებს ჯანაშვილი „ყამთა აღმწერელობა ჭეშმარიტის მეტყველება არს და არათუ თვალხმა ვისთვისმე“—და განვიხილოთ მესამე თავი წიგნაკისა: თვით ამბავი.

ბატონიშვილი ვახუშტი, როგორც სამეფო გვარეულობის ადამიანი, რასაკვირველია დაუნდობლად მოეკიდებოდა იმ ადამიანს, რომელმაც ულალატა (?) მეფეს და გაექცა სხვა სახელმწიფოში შურის საძიებლად, რომ თავისი თავი გადაერჩინა მოღალატე მეფისაგან. და მართლაც, ქართლის ცხოვრებაში, ჩვენ პირდაპირ ინკვიზიტორულ აღწერილობასა ვპოულობთ გიორგი სააკაძის ყოველი ნაბიჯისა და მოქმედებისას. ვახუშტი სააკაძეს არ ამოასუნთქებინებს ისე, რომ შხამი და გესლი არ ამოაყოლებინოს თანა. ყოველი მისი საქციელი რაღაცა მუხანათობით, ბოროტებით და შურითა აქვს შეზავებული და **მარტო ესეცა კმარა**, რომ ობიექტიური მკვლევარი არ დაენდოს მხოლოდ მის ჩვენებას და ანგარიში გაუწიოს არა ცალცალკე ისტორიკოსთა ცალმხრივ ცნობებს, არამედ **შეადაროს მეცნიერულის მეთოდით ყველა ცნობები,** ანგარიში გაუწიოს ისტორიის ყველა მხარეს და შემდეგ გამოიყვანოს სამართლიანი მსჯავრი ისეთ დიდბუნებოვან ადამიანზედ, როგორიც იყო დიდი მოურავი გიორგი სააკაძე. ამ მხრივ, მ. ჯანაშვილი არამცთუ არ იჩენს მეცნიერულს ობიექტივობას, იგი ლენერალ-პროკურორივით, რომელსაც დავალებული აქვს დასჯა დამნაშავისა, განსაკუთრებითა ჰკრებს ისეთ ცნობებს, ისეთ ციტატებს, რომელნიც ამტყუნებენ და აშავებენ გიორგი საა-

ბაძეს. ამ როლით ისეა გატაცებული ბ-ნი ჯანაშვილი, რომ ხანდახან იმასაც კი არ ერიდება რომ ერთი-მეორის საწინააღმდეგო ცნობები მოჰყავს, ოღონდ ორთავენი სააკაძის გაშავებაზედ ლაპარაკობდნენ; იგი სრულებით ხელს აფარებს სააკაძის კარგ მხარეებსაც, თითქო ეშინია მისი სასტიკი მსჯავრი არ შემსუბუქდეს.

აი მაგალითებიც.

თათარხანის შემოსევის დროს, მეფე ლუარსაბი სრულიად დაიბნა და გაქცევასაც კი აპირობდა და მარტო სააკაძის მხნეობამ, სისწრაფემ და სიმარჯვემ დასძლია ოსმალთა ჯარი; ბ-ნი ჯანაშვილი კი ამ გარემოებას ხელს აფარებს და წინ აყენებს ლუარსაბს, რომელმაც მართლა სიყოჩაღე გამოიჩინა, მაგრამ... უკვე გაქცეულ მტერზედ.

სწორედ ამ უმაგალითო გამარჯვებით იყო გამოწვეული ის მასპინძლობა, რომელიც გაუწია გახარებულმა სააკაძემ თავის მეფეს; სწორედ ამ გამარჯვებამ აამაღლა სააკაძე მეფისა და ხალხის თვალში იმდენად, რომ მეფე სიხარულით ეწვია სახლში და ბ-ნი ჯანაშვილი კი არც კი სთვლის საჭიროდ ამის უბრალო თქმასაც.

წვეულებაზედ ყმაწვილმა მეფემ შეასწრო თვალი სააკაძის მშვენიერ დას და მოინდომა მისი ხელთ გდება; ამ შეურაცხყოფამ რასაკვირველია გააწყრა სააკაძე და როდესაც მეფემ კანონიერ ცოლად ითხოვა, დიდმა მოურავმა უარი უთხრა, რადგან შეურაცხყოფას პოლიტიკური მოსაზრებანიც ზედ ერთვოდა. პარიზის ქრონიკაში, რომელსაც ისე დიდათ ენდობა ბ-ნი ჯანაშვილი და ეძახის გულმართალს და მიუკერძოებელს, სწერია ასე: გიორგი სააკაძემ შეუთვალა მეფეს:

„როდეს განსჯენ დიდნი კაცნი, შეგიგვეთენ დაგდებასა,
ჩემსა ცუდათ დაჭერასა და სუბუქად აგდებასა
შადიმან მყავს მტერი — გეტყვის სიკვდილსა და გაგდებასა
ახლავ მიჯობს ჩამომეხსენ ბოლოს ჭირში ჩაგდებასა"

ასე წინადვე გრძნობდა დიდი მოურავი მოსალოდნელ ჭირსა, მაგრამ მეფე ლუარსაბი არ მოეშვა, შეირთო ცოლად სააკაძის და და რამდენიმე თვის შემდეგ, მართლაც სხვის ჩაგონებით, უკან მიუგდო: აღარ მინდაო. ჩვენ მ. ჯანაშვილისათვის მიგვინდვია წარმოდგენა იმ გრძნობებისა, რომელსაც გამოიწვევდა ამაყ მოურავის გულში ასეთი გაუპატიურება ოჯახისა. მაგრამ ნაწყენ მოურავს ეს არ აკმარეს და ლოღიკურის გზით მივიდნენ იქამდის, რომ **მოკვლაც დაუპირეს**, რადგან შეურაცხყოფას ვერ აიტანს და შურის ძიებას დაიწყებსო. სააკაძემ ძლივს გაასწრო მოღალატეებს — და გაიქცა სპარსეთში. აი ამ ამბავს ბ-ნი ჯანაშვილი გულუბრყვილოდ აღწერს: შ. ბარათაშვილი იმიტომ გადაემტერა სააკაძეს, რომ უკანასკნელმა დასცინა მის ხმალსაო — ეს კი **დიდი შეურაცხყოფა იყო იმ დროსაო.** სააკაძეს რომ და გაუუპატიურეს, ეს შეურაცხყოფა არ იყო, რომ მოკვლა დაუპირეს ეს უბრალო საქმეა, და შადიმანს რომ ხმალი გაუკილეს — ეს **შეურაცხყოფაა**, ჯანაშვილის ბრუნდეთ მიმართულ ლოღიკისათვის: „ასეა თუ ისე, სააკაძეს დაი მოაშორეს ლუარსაბ მეფეს და მისი მოკვლაც გადასწყვიტეს", ამბობს ჯანაშვილი, თითქო ორი ვარიის საკითხი სწყდებოდეს და არა მძიმე დანაშაულობა ხდებოდეს დიდი ადამიანის მიმართ.

რა უნდა ექმნა ასეთ პირობებში სააკაძეს, მ. ჯანაშვილი არ გვეუბნება, ალბად უნდა ჩაეყლაპა ოჯახის სირცხვილი, გაეშვირა კისერი და თავი შეეწირა ლუარსაბის ჯერ ყმაწვილური ჟინისათვის და შემდეგ მისივე სილაჩრისათვის თავადების წინაშე. სააკაძემ გაცლა არჩია, **როგორც არჩევდა ყველა პატიოსანი ადამიანი და შეურაცხყოფილი ძმა.** ჯანაშვილი კი აქ აღნიშნავს მხოლოდ იმას, რომ სააკაძემ ბეზღობა დაუწყო ლუარსაბსა შაჰ-აბაზთანაო. ერთის წუთს დავივიწყოთ, რომ ლუარსაბი მეფე იყო, უნდა ეძია შური სააკაძეს მისი ღირსი საქციელისათვის, თუ არა? ვგონებთ აქ ორი პასუხი შეუძლებელია; მაგრამ ჩვენ უფრო შორს წავალთ და ვიტყვით: ის მეფე, რომელიც **ღალატობს** თავის ურთგულესს ქვეშევრდომს, ნათესაობით სიყვარულის მაგიერ — გაუპატიურებულ დას მიუგდებს კარზედ და მოკვლასაც დაუპირებს, — ღირსია თუ არა, პირადი შურის ძიებისა? ვერავინ ვერ დაიდებს გულზედ ხელსა და ვერ იტყვის — **არაო!** და ჩვენ ვერც ერთ იმ წყაროში, რომელიც ხელთა გვქონია, და ვერც იმათში, რომელთაც ასახელებს მ. ჯანაშვილი ვერ ვხედავთ, რომ დიდ მოურავს პირადი შურის ძიება ლუარსაბისა — ერის მოღალატეობით შეეცვალოს.

ჩვენ ვერ გავამართლებთ დიდ მოურავს და ვერ დავსახავთ უმწიკვლო გმირთა-გმირად, როგორც ამას სჩადის ანტონ ფურცელაძე ან სხვანი, მაგრამ ისე პირადებით მისი გაშავება, როგორც ეს მოსდის ჯანაშვილს — შეუფერებელია, თუ თანამედროვე მე

ცნიერული თვალსაზრისით განვიხილეთ და **შევადარეთ** ყველა წყაროები.

დაწვრილებით არ შევეხებით დიდი მოურავის მთელ ხანას, რადგან ამ ხანაზე განსაკუთრებული მოხსენება გვექნება და საჟურნალო წერილი მეტის ნებას არ გვაძლევს, მაგრამ გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ შაჰაბაზის შემოსევაში დიდ მოურავს იმდენივე ბრალი უდევს, რამდენიც **ყველა სხვა მის თანამედროვე ქართველ თავადს**, ე. ი. თუ სააკაძეს გამოვიყვანთ მოღალატედ სამშობლოსი, თუ უარესად არა, არა ნაკლებად უნდა გამოვიყვანოთ მთელი მაშინდელი ბრწინვალე წოდება, მეფეებთან ერთად. ჯანაშვილი კი ხაზს უსვამს სხვა და სხვა ისტორიკოსთა მარტო იმ აზრს და სიტყვას, რომლითაც მტყუნდებოდეს გიორგი სააკაძე. ამ გზაზედ ასეთ უხერხულობასაც არ ერიდება, მაგალითად: ლუარსაბი რომ დაატყვევეს სპარსელებმა, მასსა და სააკაძის შორის ისეთი ლაპარაკი მოხდა, მოლოზან მაკრინეს სიტყვითაო, რომ „სააკაძემ გულში ჩაიდო მტრობა სპარსელებისა და განიგულა, ადრე თუ გვიან, სპარსთა უღლის გადაგდება, სინიდისის გაწმენდა“... და სხ. და **როდესაც** ეს მართლა მოახდინა, ჯანაშვილი ამასაც უსაყვედურებს: **მარტო მაშინ** აუჯანყდა სპარსელებს, როცა საკუთარი თავის მოკვეთის ბრძანება გაიგო ყაენისაგანაო. ძნელია ადამიანის გულში ხელის ფათური და ნამეტნავად არა სასიამოვნოა, როცა გინდა ჩირქი მოსცხო ადამიანს და ამიტომაც ვერაფერს ვიტყვით ჩვენ პირადათ **როდის** გადასწყვიტა სააკაძემ საბოლოოდ განდევნა სპარსელებისა, ამ თავის მოკვეთის ბრძანების **წინად თუ შემდეგ**, მაგრამ მაკრინეს სიტყვებს თუ დავენდობით, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უფრო **ადრე** უნდა მომხდარიყო, მით უფრო რომ ამ მიზეზებს ეთანხმება „დიდ-მოურავიანის“ და „პარიზის კრონიკის“ გადმოცემაც, და აგრეთვე უბრალო ლოღიკური მოსაზრებაც, რადგან შეუძლებელია საქართველოში გიორგი სააკაძე მოღალატედ და მუხანათად ყოფილიყო ცნობილი, მტერთა ჯარის მომყვანად საქართველოს ამოსაწყვეტად და ამავე დროს ისე უცებ, სულ რამდენიმე დღის განმავლობაში მოეხერხებინა დარწმუნება თითქმის მთელი ქართველობისა, რომ იგი ღალატობს სპარსელებს და უმზადებს საშინელ დამარცხებას. სახელგატეხილ ადამიანს ისე ადვილად არ მიენდობოდნენ, როგორც მიენდვნენ სააკაძეს.*) და მართლაც საოცარი სიმარჯვით ამოწყვიტეს სპარსთა ურიცხვი ლაშქარი.

ნულარას ვიტყვით იმაზედ თუ [ამის] შემდგომ როგორ აშენებდა ქართლს და რა [illegible]მობდა საქართველოში და დაუბრუნდეთ კახეთის აკლებას. კახეთი საშინლად აიკლო შაჰაბაზმა, მისმა მძვინვარებამ რაღაც შავბნელი ძალა მოჰფინა ქვეყანას — ეს მართალია, მაგრამ ყველა ამ ამბის თავზედ მოხვევა სააკაძისათვის, არამცთუ შემცდარი აზრია (რადგან არსად, არც ერთ წყაროში ვერ გვიჩვენებთ ადგილს, რომ ასახელებდეს სააკაძეს აქტიურ მომქმედად ამ ჟლეტა-ამოწყვეტაში), პირდაპირი — სიყალბეა მისი დანაშაულობის გასაძლიერებლად მოგონილი. „ირანის ლომს“ შაჰაბაზს სურდა საქართველოს აღგვა ქვეყნისა პირიდან, მას ხელთ ეპყრა ისეთი ძალა, რომელსაც მაშინდელი ძლიერი ოსმალეთი ვერ უმაგრდებოდა და ერთი მითხარით, რა შეეძლო **ერთს კაცს**, გიორგი სააკაძეს რომ მისი მრისხანება გაენელებინა, ან საქართველოსათვის აეცდინა მახვილი მისი? გარდა იმ ხერხისა, რომლის წყალობითაც **გარდუვალს** ჭირზედ შური მაინც იძია და თითქმის დასთრგუნა ის უხეში ძალა, რომელიც „პარპაშებდა საქართველოს სიგრძე-სიგანეზე,“ ჯანაშვილისა არ იყოს.

ჯანაშვილი იქამდისაც კი მივიდა, რომ სააკაძე პირდაპირ იუდას შეუდარა და მაზედ დაბლა დააყენა: იუდამ ფული ვერ შეიშვნია და სააკაძე ჯაშუშობით აღებული ფულით კიდეც ამაყობდაო.

ეს მტკნარი სიყალბეა, რასაკვირველია: შესაძლებელია დიდ მოურავს უსაყვედურონ, რომ საქართველოდან გაქცეული, იგი ემსახურებოდა ყაენს ინდოეთისა და ოსმალების ომებში, შეიძლება უსაყვედურონ ადამიანს **სხვისა კარზედ** მსახურება, მაგრამ სააკაძე ისეთი უბრალო მომაკვდავი არ იყო, რომელიც რითიმე გულს გაიტეხდა და ცხვირს ჩამოჰკიდებდა — იგი ჯან-ღონით და ენერგიით სავსე იყო, მისთვის **მოქმედება** სიცოცხლეზედ მაღლა იდგა და თუ ამ მოქმედებისათვის ჯილდოსაც მიიღებდა, გასაკიცხი არაფერია. გვიპოვნოს ჯანაშვილმა ის მეცნიერული საბუთი და არა ზღაპარი, რითაც მტკიცდებოდეს, რომ 8 გუდა ოქრო სააკაძემ სწორედ საქართველოს დალუპვაში მიიღო (რომელშიაც მო-

---

*) პირიქით უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ეს მოწერილობა სააკაძის მოგონილი იყო, რომ უფრო დაერწმუნებინა ურწმუნონი თავის ნამდვილ განზრახვაში.

ნაწილეობა არ მიუღია). ან ვისაც სიცოცხლე სწყუროდა, შეეძლო თუ არა **არ მიეღო** ყაენის საჩუქარი, როცა იგი იძლეოდა?

მტკნარი მოგონებაა ისიც, რომ ამ ფულის აღებით, სააკაძე თავს იწონებდაო. იგი იწონებდა თავს თავისი ფიზიკური ღონით ყაენის წინაშე და რვა გუდა ოქროს მაგიერ რომ რვა წისქვილის ქვა აეწია—ესევე მოიწონებდა, თორემ სააკაძე რომ ფულის მოყვარული ყოფილიყო და ფულისათვის ელვაწნა ქვეყანაზედ-ისეთ შფოთიან სიცოცხლეს არ გაატარებდა. ყოველი შეძლება ჰქონდა ფული და საშოვარი სამშობლოშივე მეტი ეშოვნა, ოღონდ ქედმოხრილი და შეურაცხყოფის ამტანი ყოფილიყო.

ერთი მძიმე ბრალი მიუძღვის სააკაძეს: **უკვე დატყვევებული** ლუარსაბი რომ დაალუპვინა შაჰაბაზს. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში იმ დროინდელ სასტიკ ჩვეულებათ საზოგადოთ, მოვიგონებთ აუარებელ სირცხვილს, რომელიც აჭამა ლუარსაბმა სააკაძეს და მის ოჯახს და ზედ დაურთობთ პოლიტიკურ მოსაზრებასაც რომ უხასიათო და ლაჩარი მეფისაგან გიორგი სააკაძე სამშობლოსათვის კარგს არას გამოელოდა—ჩვენ ეს ბრალიც უნდა შეუმსუბუქოთ.

მ. ჯანაშვილი არა კმარობს უბრალოდ სააკაძის პიროვნების გათახსირებას, იგი თვით ფაქტებს ალაპარაკებს ისე, რომ ყველა ცოდვის ჩამდენი მოურავი გამოდის. მაგ. ცნობილია, რომ მარაბდის ომში სააკაძე არამცთუ ცამდის მართალი იყო, მარტო მისი მეოხებით ერგოთ ქართველებს პირველი გამარჯვება და სრულიადაც არ დამარცხდებოდნენ, რომ სააკაძის საუცხოვო საომარი გეგმა მიეღოთ ქართველ წარჩინებულებს—მაგრამ ჯანაშვილი აქაც ხელს აფარებს სააკაძის საომარ ნიჭს, მიზეზად დამარცხებისა ასახელებს ქართველების ერთმანეთის გაუტანლობასა და ჯაშუშობას; აქა გულისხმობს სააკაძესაც, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე და მჭერ-მეტყველება დახარჯა, რომ როგორმე შეეთანხმებინა თავად-აზნაურობა.

მარაბდის ომში ქართველობა დამარცხდა და დაიბნა: ზოგი ეახლა ყაენს, ზოგი მიუდგა გამაჰმადიანებულ სვიმონს, ზოგი შეიხიზნა თავის ხეობებში და მეზობელთა აწიოკებას უნდებოდა. ერთად ერთი სააკაძე და დათარეშობდა პარტიზანული რაზმებით და სიცოცხლეს უმწარებდა სპარსელებს. მთელ საქართველოში არავინ იყო იმ დროს ხელის შემბრუნებელი სპარსელთა, გარდა სააკაძისა. თვით ძლიერი ზურაბ ერისთავი და მეფე თეიმურაზი მიყუჩებულნი იყვნენ; სააკაძე მარტოდ-მარტო ებრძოდა მტერს თავის მცირედი ძალით და როცა სპარსეთის ჯარი, ჩვეულებისამებრ, გავიდა საქართველოდან, ზურაბმაც და თეიმურაზმაც თავი წამოყვეს და სააკაძეს დაუწყეს დევნა. თეიმურაზმა მოკვლაც დაუპირა, რადგან ეჭვი აალო, რომ სააკაძე იმერეთიდან აპირებდა ქართლის ტახტის მემკვიდრის გადმოყვანას. აი **რაზედ** შეიბნენ სააკაძე და თეიმურაზი.

ამ ბრძოლაში, **ერთად-ერთ ბრძოლაში**, საცა ქართველი ლაშქარი ებრძოდა ქართველსავე მოძმეებს—სააკაძეს **პირადი მონაწილეობა არ მიუღია** და არც სურდა ეს ბრძოლა, მაგრამ იძულებული იყო თეიმურაზის მუხანათობით. მ. ჯანაშვილი კი ამ ძმათა სისხლის ღვრასაც გადაჰკრით სააკაძეს დააკისრებს. სააკაძე დამარცხდა და გაიქცა ოსმალეთს.

აი მოკლედ, გ. სააკაძის ამბავი, რომელიც ბ-ნმა ჯანაშვილმა სუბიექტიურ მოსაზრებათა ძალით ცალმხრივად გააშუქა, რომ სააკაძის მარტო უარყოფითი მხარენი დაენახვებინა, მაშინ როდესაც მას ბევრი დადებითი მხარეცა ჰქონდა.

ეს არ არის „ჟამთა აღმწერლობა, რომელიც ჭეშმარიტების მეტყველება არს“, არამედ მართლაც „თვალხმა ვისთვისმე“ და მკითხველი საზოგადოება მეტის სიფრთხილით უნდა მოექცეს ასეთ ისტორიკოსებს, რომელნიც ვალდებულნი არიან მკითხველზედ უფრო მეტის სიფრთხილით ექცეოდნენ საისტორიო მასალას. თორემ გამოჩნდება კიდევ ახალი შინ ზრდილი ისტორიკოსი ვინმე და ახლა ჯანაშვილის ნაწერს გაიხდის მოწმად, რომ სააკაძე ჯაშუში და მუხანათი იყო, თუნდაც ამაში ნამცეცი სიმართლეც არ მოიძებნებოდეს.

რ. გაბაშვილი.

შეცდომის გასწორება.

„კლდის“ 23 ნომერში, მეოთხე გვერდზე მე-8 სტრიქონში ზევიდან დაბეჭდილია „პირველი ნოემბერში“, უნდა იყოს „პირველ ნომრებში“.

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ИМЕРЕТИ“ — „იმერეთი“

ახალის რედაქციით და თანამშრომლებით.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისათვის. გაზეთის ფასი: ერთი წლით—7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ერთი თვით—80 კ. ცალკე ნომერი ერთი შაური.

ადრესი: Кутаисъ, редакція газ. „Имерети“.

ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი

„თეატრი და ცხოვრება“

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ-კორესპოდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარ-გარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილნი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი, და მხატვარ-ხელოვანნი.

ჟურნალის ფასი: წლიურად 5 მ. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი იორ შაური. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამატ. საზოგ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპნის“ სტამბაში).

1894 წლიდან 1914 წლამდის

საუკეთესო ღვინოდ ითვლება ღვინო საზოგადოება „კახეთი“-სა

ტელეფონი: № 73 და 3—51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63 და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5.